

*2019 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება
შპს "პაი-ტექ სოლუშენს" ჯგუფი (ს/კ 205268315)*

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები და სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადებისა და კონსოლიდაციის საფუძველი
3. სააღრიცხვო პოლიტიკა
4. ძირითადი საშუალებები
5. არამატერიალური აქტივები
6. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
8. საბანკო გარანტია
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
10. საკუთარი კაპიტალი
11. სხვა შემოსავალი
12. ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი
13. მიწოდების დანახარჯები
14. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა
15. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

შპს "ჰაი-ტექ სოლუშენს" ჯგუფი (ს/კ 205268315)

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	12/31/2019	გადაწარმოებული 12/31/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	627,239	365,031
არამატერიალური აქტივები	5	8,831	9,884
		636,070	374,914
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	2,291,591	1,008,294
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	879,531	1,632,467
საბანკო გარანტია	8	41,961	18,822
საგადასახადო აქტივი		19	19
		3,213,103	2,659,602
მთლიანი აქტივები		3,849,172	3,034,516
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზრალი)		1,985,051	1,652,652
		1,985,251	1,652,852
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1,698,366	1,338,201
საგადასახადო ვალდებულებები		165,556	43,463
		1,863,921	1,381,665
მთლიანი ვალდებულებები		1,863,921	1,381,665
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,849,172	3,034,516

გამოსამზებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ჰაი-ტექ სოლუშენს"-ის სახელით
2020 წლის 29 სექტემბერს.



დავით რამიშვილი

შპს "ჰაი-ტექ სოლუშენს"-ის დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების

განუყოფელ ნაწილს.

შპს "ჰაი-ტექ სოლუშენს" ჯგუფი (ს/კ 205268315)

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	გადაწარმოებული 2018
ამონაგები		12,431,287	9,752,617
თვითღირებულება		(8,968,777)	(7,459,953)
საერთო მოგება		3,462,510	2,292,664
სხვა შემოსავლები	11	84,615	59,246
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,831,722)	(972,559)
მიწოდების დანახარჯები	13	(142,337)	(122,948)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(2,461)	(79,660)
სხვა ხარჯები	7	(46,247)	(142)
საოპერაციო მოგება		1,524,358	1,176,601
ფინანსური შემოსავალი		1,453	366
ფინანსური ხარჯი		0	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		1,453	366
მოგება დაბეგვრამდე		1,525,811	1,176,967
მოგების გადასახადი		(179,012)	(28,532)
წმინდა მოგება		1,346,800	1,148,435
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,346,800	1,148,435
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1,652,852	1,084,942
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)		(1,014,400)	(580,526)
პერიოდის სრული შემოსავალი		1,346,800	1,148,435
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,985,251	1,652,852

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ჰაი-ტექ სოლუშენს"-ის სახელით
2020 წლის 29 სექტემბერს.



დავით რამიშვილი

შპს "ჰაი-ტექ სოლუშენს"-ის დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების

განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჰაი-ტექ სოლუშენს“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2008 წლის 2 დეკემბერს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ნოდარ ბოხუას ქ. N4, სართული 5.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიით მომსახურება, კერძოდ, კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებები მოიცავს IT აუდიტს, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზირებას, კიბერ უსაფრთხოებას, სისტემების ინტეგრირებას, IT ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციას და IT ტექნიკის მიწოდებას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს სამი მეწილე 35%-35% და 30%-ის მფლობელი ფიზიკური პირები ალექსანდრე გალდავა, ნინო ჭაჭიაშვილი და მალხაზ სხირტლაძე, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

1. შპს ეიჩთი ჰელსი (საიდ.კოდი 402019686, შემდეგში კომპანია 1), რომელიც 2015 წლის 2 სექტემბერს საქართველოში, ქ.თბილისში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო ინვენტარის შესყიდვა და გაყიდვა. კომპანიის მიერ ფლობილი წილი შეადგენს 100%-ს;
2. შპს ეიჩთი ჰელსი (საიდ.კოდი 402081199), რომელიც 2018 წლის 29 მარტს კომპანია 1-ის მიერ საქართველოში, ქ.თბილისში დარეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო ინვენტარის შესყიდვა და გაყიდვა. კომპანიის მიერ არაპირდაპირი ფლობილი წილი შეადგენს 100%-ს.

2. მომზადებისა და კონსოლიდაციის საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ჯგუფი ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმოებმა. ასევე ხელმძღვანელობამ გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმოებმა. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსურ ანგარიშგებას.

კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე.

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები;

- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.
- შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გათავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე;
- სრული შემოსავლის ანგარიშგების თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი. საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან. ყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

ჯგუფის მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად.

საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ამონავლების (შემოსავლის) აღიარება

შემოსავლების (ამონავების) აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს გარეშე.

შემოსავლი (ამონავები) მოიცავს მხოლოდ ჯგუფის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონავების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონავების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონავებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს

აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- დაუმთავრებელი მშენებლობა - არ ერიცხება ცვეთა
- შენობა - 20-50 წელი
- ოფისის აღჭურვილობა - 2-10 წელი
- ავეჯი და სხვა ნვენტარი - 2-10 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- არამატერიალური აქტივები - 5-10 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

2019 წლიდან ამოქმედებული დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი გახდა ვალდებული, რომ თანამშრომლის ან მომსახურების გამწევის (თუ ფიზიკური პირი თავისი ნებით არ არის გასული საპენსიო პროგრამიდან) დარიცხული ანაზღაურებიდან დააკავოს 2% პენსია და ასევე დარიცხული ანაზღაურების კიდევ 2% დაამატოს თავისი ხარჯით და გადარიცხოს ფიზიკური პირის სახელით საპენსიო სააგენტოში.

სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში, ზოგად და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯების მუხლში ფიზიკური პირის ანაზღაურებიდან დაკავებული 2% აღირიცხება ანაზღაურებასთან ერთად, ხოლო კომპანიის მიერ დამატებული 2% გამოიყოფა ცალკე ხარჯად, თანამშრომლების ხელფასის შემთხვევაში, მუხლებში: „დასაქმებულთა ანაზღაურება და სხვა სარგებელი“ და „აპენსიო ხარჯი 2%“ შესაბამისად.

მოგების გადასახადი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98 პრიმა 1 მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. ჯგუფი საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

დღგ

ჯგუფის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, ჯგუფის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების.

აღსანიშნავია ასევე, რომ 2021 წლიდან დღგ-ს კარი საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვნად იცვლება ევროდირექტივების შესაბამისად.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების“ სახელდობრ, „საიჯარო ხარჯის“ მუხლში.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში ხოლო სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარდება რეზერვი.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სხვა შემოსულობები/ზარალი“-ის მუხლში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები.

მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

ჯგუფში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მათი გამოცხადებისას, როდესაც დამფუძნებელს უჩნდება უფლება მათ მიღებაზე. გამოცხადებული დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ თუ ის გამოცხადებულ იქნა ანგარიშგების თარიღამდე ან ანგარიშგების თარიღით.

შეცდომების შესწორება

ჯგუფი წინა პერიოდების ხარვეზების და შეცდომების შესწორებებს ფინანსურ ანგარიშგებებში რეტროსპექტიულად ახორციელებს მათი აღმოჩენისთანავე შესადარისი თანხების გადაანგარიშებით წარმოდგენილ წინა პერიოდებზე, როდესაც შეცდომების და ხარვეზების დაშვებას ჰქონდა ადგილი და თუ შეცდომის დაშვება მოხდა იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ყველაზე ადრინდელი წინა პერიოდი, შემდეგ ამ აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის ყველაზე ადრინდელი წინა პერიოდის საწყისი ნაშთები გადაანგარიშდება.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს სავაჭრო მოთხოვნებში აღმოჩენილ იქნა შეცდომა 99,011 ლარზე. აღნიშნული შეცდომა გაკეთებული იყო ერთერთი დებიტორის უცხოურ ვალუტაში გამოსახული დებიტორული დავალიანების არასწორად განსაზღვრის შედეგად და ასევე არასწორად იქნა დათვლილი დავალიანების გადაფასება წლის ბოლოსთვის. აღნიშნული შეცდომა დაკორექტირდა რესტოსპექტულად 2018 წლის ანგარიშგებაში. ამის გარდა ასევე აღმოჩენილ იქნა რამოდენიმე არაარსებითი შეცდომა 2018 და 2017 წელს რომლებიც ასევე დაკორექტირდა შესაბამის პერიოდებში. კორექტირებების შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ ცხრილში:

	როგორც წარდგენილი იყო	როგორც გადაანგარიშდა	გადაანგარიშების გავლენა
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	31/12/2018	31/12/2018	
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	364,262	365,031	(769)
არამატერიალური აქტივები	9,758	9,884	(125)
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,731,358	1,632,467	98,891
მთლიანი კაპიტალი			
გაუწაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზრალი)	1,746,122	1,652,652	(93,470)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,343,771	1,338,201	(5,570)
საგადასახადო ვალდებულებები	42,420	43,463	1,043
სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	2018	2018	
თვითღირებულება	(7,458,146)	(7,459,953)	1,807
სხვა შემოსავლები	59,612	59,246	366
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(972,405)	(972,559)	154
სხვა შემოსულობები/(ზრალი) - წმინდა	19,351	(79,660)	99,011
ფინანსური შემოსავალი	-	366	(366)
საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	1,077,441	1,084,942	(7,501)
საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	1,746,322	1,652,852	93,470

4. ძირითადი საშუალებები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

	დაფთავებული იმშენებლობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	შენობა	სულ
31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)	22,114	42,217	5,989	319,449	389,769
შემოსვლა	172,326	66,477	53,528	-	292,332
გადაფასება	-	-	-	-	-
გასვლა	(194,440)	-	-	194,440	-
31 დეკემბერი 2019	-	108,694	59,518	513,889	682,101
ცვეთა და გაუქმება					
31 დეკემბერი 2018	-	(20,322)	(4,416)	-	(24,739)
პერიოდის ცვეთა	-	(16,655)	(6,338)	(7,130)	(30,123)
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	71,717	48,763	506,759	627,239
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)	22,114	21,895	1,573	319,449	365,031
31 დეკემბერი 2019	-	71,717	48,763	506,759	627,239

5. არამატერიალური აქტივები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

	არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2018	10,527	10,527
შემოსვლა	-	-
გადაფასება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2019	10,527	10,527
ამორტიზაცია და გაუქმება		
31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)	(644)	(644)
პერიოდის ცვეთა	(1,053)	(1,053)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2019	8,831	8,831
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2018 (გადაანგარიშებული)	9,884	9,884
31 დეკემბერი 2019	8,831	8,831

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ საბუღალტრო პროგრამას და კომპანიის ვებ-გვერდს.

6. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

	2019	2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,984,881	650,736
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	306,710	357,558
სულ	2,291,591	1,008,294

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები მოიცავს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას რეზიდენტ ბანკებში.

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

	2019	2018 (გადაანგა რიშებული)
სავაჭრო მოთხოვნები-ნეტო	865,780	1,626,594
გადახდილი ავანსები	13,600	5,873
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	151	-
სულ	879,531	1,632,467

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო მოთხოვნები წარდგენილია ნეტო საფუძველზე, რეზერვის გამოკლებით.

2019 წელს კომპანიამ სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი აღიარა 46,247 ლარის ოდენობით (2018 წელს 142 ლარი იყო).

8. საბანკო გარანტია

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

	2019	2018
საბანკო გარანტია	41,961	18,822
სულ	41,961	18,822

საბანკო გარანტია მოიცავს სახელმწიფო ტენდერებისთვის სახელშეკრულებო თანხის უზრუნველყოფისთვის განკუთვნილ დეპოზიტს, რომელიც შეადგენს სატენდერო თანხის 1%-ს, რომელიც ბრუნდება სატენდერო სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად შესრულების შემდგომ.

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

	2019	2018 (გადაან გარიშებული)
სავაჭრო ვალდებულებები	1,400,090	1,269,117
მიღებული ავანსები	297,766	68,487
სხვა ვალდებულება	510	597
სულ	1,698,366	1,338,201

10. საკუთარი კაპიტალი

ჯგუფის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის სრული შემოსავალი.

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 200 ლარს.

ჯგუფმა 2019 წელს მოახდინა 1 014 400 ლარის ოდენობის დივიდენდის გამოცხადება და გაცემა დამფუძნებლებზე (2018 წელს დივიდენდმა შეადგინა 580 526 ლარი).

11. სხვა შემოსავალი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

	2019	2018 (გადაან გარიშებული)
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	84,585	55,407
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	30	-
შემოსავალი სატრენინგო მომსახურებიდან	-	3,839
სულ	84,615	59,246

12. ზოგადი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

	2019	2018 (გადაანგა რიშებული)
ცვეთა და ამორტიზაცია	31,176	10,039
კომუნიკაციის ხარჯი	3,275	1,924
საკონსულტაციო ხარჯი	3,357	10,200
საბანკო მომსახურების ხარჯი	9,344	7,623
საპენსიო ხარჯი (2%)	26,473	-
დასაქმებულთა ანაზღაურება და სხვა სარგებელი	1,462,850	811,780
კვალიფიკაციის ამაღლება	8,426	9,461
წარმომადგენლობითი ხარჯი	54,795	9,877
როიალტი	16,513	9,629
საიჯარო ხარჯი	8,430	30,966
სამივლინებო ხარჯი	123,271	43,607
სხვა ხარჯი	48,812	27,454
სულ	1,831,722	972,559

2019 წლის განმავლობაში კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებზე ხელფასის და სხვა სარგებლის სახით გაცემული იქნა 472,710 ლარი (2018-ში შესადარისი თანხა წარმოადგენს 455,574 ლარს).

ჯგუფის ყველა თანამშრომელი 2019 წლის განმავლობაში წარმოადგენდა საპენსიო პროგრამის მონაწილეს.

იჯარის ხარჯი წარმოადგენს ოფისის იჯარას, რომელიც კომპანიას ჰქონდა ნაქირავები 2019 წლამდე, სანამ მოხდებოდა შეძენილი საოფისე ფართის (შენობის) ექსპლუატაციაში შესვლა/გამოყენება.

13. მიწოდების დანახარჯები

მიწოდების დანახარჯებო ძირითადად მოიცავს რეკლამის ხარჯებს, მათ შორის სარეკლამო ღონისძიებების მოწყობის ხარჯებს, სადაც კომპანია ახორციელებს პრეზენტაციას და აცნობს პოტენციურ მომხმარებელს თავის პროდუქტსა და მომსახურებას.

14. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. 2019 წლის ჯამური საკურსო ზარალი შეადგენს 2,461 ლარს (2018 წლის საკურსო ზარალი იყო 79,660).

15. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

2020 წლის თებერვალში დედა კომპანიაში განხორციელდა დირექტორის ცვლილება და ახალ დირექტორად დაინიშნა დავით რამიშვილი.

კოვიდ-19მა უარყოფითი ზეგავლენა იქონია კომპანიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე 2020 წლის განმავლობაში და შეამცირა გაყიდვები, თუმცა ხელმძღვანელობის შეფასებით ეს არ უქმნის საფრთხეს კომპანიის ფუნქციონირებას.

აღნიშნული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.